# ხელშეკრულება # 20

ქ. ჭიათურა 01 მაისი 2016 წ.

ერთის მხრივ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მერევის საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბი ასანიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ევროსტილი" (შემდგომში ,,შემსრულებელი"), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სამშენებლო მასალების (თუნუქის ფურცლოვანი სახურავი,ლურსმანი)ღირებულების შესყიდვის ანაზღაურება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს700 (შვიდასი) ლარს.

2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი ზედდებულის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

*1. დამკვეთი ვალდებულია:*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

*2. შემსრულებელი ვალდებულია:*

2.1. შემსრულებელი ვალდებულია მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

*3. დამკვეთი უფლებამოსილია:*

3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

*4. შემსრულებელი უფლებამოსილია:*

მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 01 მაისიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

**მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 8. დავის გადაწყვეტა**

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. ფორს მაჟორი**

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

**მუხლი 10. სხვა პირობები**

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

| დამკვეთი: | შემსრულებელი: |
| --- | --- |
| ჭიათურიის მუნიციპალიტეტის სოფელ მერევის საჯარო სკოლა | შპს „ევროსტილი“ |
| მის. ჭიათურა, სოფელი მერევი | მის. ჭიათურა, |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ს/ს „ლიბერთი ბანკი“ | ს/ს „საქართველოს ბანკი“ |
| ბანკის კოდი LBRTGE22 | ბანკის კოდი BAGAGE22 |
| ს/კ 215606743 | ს/კ № 415591194 |
| ა/ა GE54LB0121110792223000 | ა/ა GE78BG0000000350528500 |
| დირექტორი მერაბი ასანიძე | შპს „ევროსტილი“ |
| (ხელმოწერა) | (ხელმოწერა) |

ბ.ა

ბ.ა